

ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული
მუზეუმ-ნაკრძალი


VARDZIA HISTORICAL-ARCHITECTURAL
MUSEUM-RESERVE



UDC (უკ) 726.+903.75+711](479.22)
ვ-221

სარედაქციო კოლეგია: ნ. ვაჩეიშვილი, ი. ელიზბარაშვილი,
ი. დოლიძე, გ. ჭეიშვილი, ნ. კვიციანი; ფოტოები: ქ. ამირეჯიბი,
შ. ლეჟავა, ი. ელიზბარაშვილი; დიზაინი: ნ. ყუბანეიშვილი,
ნ. კვიციანი; თარგმანი: პ. დგებუაძე

Editorial board: N. Vacheishvili, I. Elizbarashvili, I. Dolidze,
G. Tcheishvili, N. Kvitsiani; Photoes by: K. Amirejibi,
Sh. Lezhava, I. Elizbarashvili; Disign by: N. Kubaneishvili,
N. Kvitsiani; Translated from Georgian by: P. Dgeuadze



© 2011 საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
NATIONAL AGENCY FOR CULTURAL HERITAGE PRESERVATION OF GEORGIA



ვარძიის
ისტორიულ-
არქიტექტურული
მუზეუმ-ნაკრძალი
VARDZIA HISTORICAL-
ARCHITECTURAL
MUSEUM-RESERVE



ვარძის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი მოიცავს ასპინძის რაიონის კიდურა დასავლეთ მონაკვეთს (ისტორიული ქვემო ჭავჭავეთი) და გადაჭიმულია 30 კმ-ზე მტკვრის ულამაზესი ხეობის გასწვრივ, ხერთვისის ციხიდან ოლოდას მონასტრის ჩათვლით (საქართველო-თურქეთის საზღვარი). უნიკალური და განუმოწრებელი რელიეფის მქონე ხეობა განსაკუთრებულად მდიდარია ჩვენამდე მოღწეული სიძველეებით. ძალიან დიდია ამ მცირე ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების ქრონოლოგიური და თემატური დიაპაზონი: ნაქალაქარები, ნასოფლარები, ნამოსახლარები, ციხე-სიმაგრეები, ეკლესია-მონასტრები, სტელები, ეპიგრაფიკული ძეგლები, მონუმენტური მხატვრობის ნიმუშები, საირიგაციო და წყალგაყვანილობის სისტემები, აბანოები, ქარვასლები, კლდეში ნაკვეთი მონასტრები და საცხოვრისები.

ვანიონის მთელ ჰერმიტაჟზე დაცულია სასოფლო-სამეურნეო ტერასების მთელი სისტემა, რაც მეტყველებს ამ რეგიონში, უძველესი დროიდან არსებულ, ისტორიულად ჩამოყალიბებულ მებაღეობა-მეხოსტენობის მდიდარ ტრადიციებზე.

მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორია გამოირჩევა არქეოლოგიური ძეგლების სიუხვითაც: აქ გამოვლენილია უძველესი ნამოსახლარები და სამაროვნები, დანყებული II-I ათასწლეულების მიჯნიდან, ანტიკური ჰეროიდისა და შუა საუკუნეების ჩათვლით.

ხეობის ტერიტორიაზე არსებულ ძეგლებს შორის აღსანიშნავია ღია ცის ქვეშ აღმართული, საკულტო დანიშნულების, ქვისაგან გამოკვეთილი სტელები და ქვაჭარები. მათი აღმართვის ტრადიცია ქრისტიანობის გავრცელების დროიდან (IV ს.) მომდინარეობს (ფია, ზედა თმოგვი, გიორგინშინდა, VI-IX სს.). გვიანფეოდალურ ხანას (XVI ს.) მიეკუთვნება ქვის ხაჩკარები (დილივა, მარგასტანი).

ამ მხარის ისტორიულ-გეოგრაფიულმა მნიშვნელობამ განაპირობა სამეფო რეზიდენციების, მონასტრებისა და სტრატეგიული მნიშვნელობის ციხე-სიმაგრეების სიმრავლე. აქ აღმართულმა ციხე-სიმაგრეებმა (ხერთვისი, თმოგვი, ოლოდა), ხანგრძლივი არსებობის მანძილზე (X-XVIII სს.), არაერთხელ მოიგერიეს მტერი. ციხე-სიმაგრეთა შორის გამორჩეულია ხერთვისისა და თმოგვის ციხეები, რომლებიც სტრატეგიულად გამორჩეული მნიშვნელობის მქონე ადგილებშია აღმართული.

ხეობის ლანდშაფტს სპეციფიკურ სახეს კლდეში ნაკვეთი გამოქვაბულების სიმრავლე სძენს. საქართველო უძველესი ხანიდან მკიდროდ იყო დაკავშირებული მცირე აზიურ კულტურულ ცენტრებთან, რაც ნათლად არის წარმოჩენილი ვარძია-ოლოდას ტერიტორიაზე არსებული, კლდეში ნაკვეთი სამონასტრო ანსამბლების სიმრავლეში. კლდეში ვეფთის ტრადიცია შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქრისტიანოში გავრცელებული მოვლენა იყო. იგი იკვეთება და ყალიბდება ჯერ კიდევ წინაანტიკურ პერიოდში. აქ გამოყენებულ გამოქვაბულთა ტრადიციულია და მათ ღრმა ფესვები გააჩნიათ. განსაკუთრებით საყურადღებოა მათი ვაჭირი ვაჭადოკის კლდეში ნაკვეთი კომპლექსებთან. ვარძია - ოლოდას კლდეში ნაკვეთი კომპლექსები ქრონოლოგიურად სამონასტრო ცხოვრების ორ ძირითად პერიოდს ასახავს: VIII-IX და XII-XIII სს. გარდა სამონასტრო კომპლექსებისა (ვანის ქვაბები, ჭოლთა, ოლოდა, სადაყუდებულო), აქ დაცულია როგორც საცხოვრებელი გამოქვაბულები (გელსუნდა, მარგასტანი), ასევე XVI-XVIII სს. ლევისას მიწისქვეშა სამალავი-საცხოვრებლები, ცალკეული ეკლესიები (ვერტამი-თავეთილა, გაღმა ჭაჭკარის წმ. გიორგის ეკლესია, გამოღმა ჭაჭკარის ნახევრად გამოქვაბული, წმ. მარინეს ეკლესია და სხვა), ხალხური საცხოვრებლის ნიმუშები (გაღმა ჭაჭკარის კლდეში ნაკვეთი დარბაზი, გელსუნდას გამოქვაბულები), სამეურნეო დანიშნულების კომპლექსები (გაღმა ჭაჭკარი, ფია, მარგასტანი).

კლდის არქიტექტურის არა მხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიო ისტორიაში, გამორჩეული ადგილი ქალაქ-მონასტერ ვარძიას ეთმობა. იგი რთული გეგმარების, მრავალსათავსიან, ცამეტსართულიან კომპლექსს წარმოადგენს, უზრუნველყოფილს

წყალგაყვანილობის სისტემით და სასმელი წყლით, დერეფნებით, ქუჩაბანდებით, კიბეებით გაერთიანებული ანფილადური სისტემის საცხოვრებელი უჭრედებით. ვარძიის კომპლექსი გამოირჩევა ურბანული სივრცის ვერტიკალური ორგანიზაციით. კომპლექსში განსხვავებული დანიშნულების ოთახებიც გვხვდება: ე.წ. "აფთიაქი", "თამარის დარბაზი", "სალხინო", "სატრაპეზო", "საჯინბო" და სხვა...

ვარძიის მთავარ ნაგებობას ანსამბლის ცენტრალურ ნაწილში განთავსებული ღმრთისმშობლის მიძინების დარბაზული ეკლესია წარმოადგენს. ეკლესიის ინტერიერი მოხატულია. XII-XIII სს. მიჯნის მხატვრობა აღმოსავლეთ საქრისტიანოს ქვეყნებთან და ბიზანტიურ სამყაროსთან მჭიდრო ურთიერთობაზე მეტყველებს. იგი შესრულებულია "მშრალი წესით" (სეკვო), რელიგიური სიუჟეტების გვერდით მოცემულია თამარ მეფისა და მისი მამის, გიორგის III-ის პორტრეტები.

კომპლექსის მნიშვნელოვან მიწისზედა ნაგებობას სამრევლო წარმოადგენს (XIII ს.), რომლისგან მხოლოდ ქვედა სართულია შემორჩენილი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ანანაურის დასახლებას ენიჭება, რომლის კლდეში ნაკვეთ ეკლესიაშიც შესანიშნავი კედლის მხატვრობაა შემორჩენილი.

კლდეში ნაკვეთი ქალაქი-მონასტერი ვარძია, მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობით, საინჟინრო ოსტატობითა და გრანდიოზული მასშტაბით, ქართული შუასაუკუნეების ხელოვნების გამორჩეული ნიმუშია.

გარდა კლდეში ნაკვეთი ეკლესიებისა, ხერთვისი-ვარძია-ოლოდას ტერიტორიაზე გვხვდება გამორჩეული მხატვრული ღირებულების მქონე ტაძრები. ძირითადად ეს უკუმათო ნაგებობებია. მათი ქრონოლოგიური დიაპაზონი შემოიფარგლება X-XIV საუკუნეებით. ეს არის X ს. ფიის ორი დარბაზული ეკლესია, ამავე ხანის ახჩიის, მირაშხანის ეკლესიები, ზედა ვარძიის ორნაიანი ეკლესია, წუნდის XII-XIII სს. ეკლესია, თმოგვის წმ. მარინეს გუმბათიანი XIII-XIV სს. ეკლესია და სხვა.

სატაძრო არქიტექტურის შემორჩენილი ნიმუშები მალალი სამშენებლო ოსტატობით და საინტერესო მხატვრული გადაწყვეტით გამოირჩევა. უფრო მოკრძალებული ნაგებობები, ადგილობრივი, ე. წ. "ჯავახური" ხუროთმოძღვრული სკოლის ტიპურ მაგალითებს წარმოადგენენ.

ნაკრძალის ტერიტორიაზე არსებულ არქიტექტურული მემკვიდრეობის ძეგლებში, ასევე, დაცულია შუასაუკუნეების მონუმენტური ფერწერისა და ეპიგრაფიკის შესანიშნავი ნიმუშები.

გარდა ვარძიის ღმრთისმშობლის ტაძრისა, მონუმენტური მხატვრობა დაცულია ფიის წმ. თევდორეს, ზედა ვარძიის, თმოგვის წმ. მარინეს და ანანაურის ეკლესიებში. ქრონოლოგიური დიაპაზონი აქაც საკმაოდ ვრცელია. დანყებული X საუკუნიდან XVI საუკუნის ჩათვლით.

კლდეში ნაკვეთი და ხუროთმოძღვრული ნიმუშები შეიცავენ სააღმშენებლო და მემორიალური ხასიათის წარწერებსაც (IX ს.-დან XVIII ს.-მდე). ისინი ასომთავრულითაა შესრულებული და მნიშვნელოვან საისტორიო წყაროს წარმოადგენს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფიის, ზედა ვარძიის, მირაშხანის, თმოგვის წმ. მარინეს ეკლესიების წარწერები. გამორჩეული მნიშვნელობა ენიჭება ვანის ქვაბების წმინდა მარინეს XV-XVI სს. გუმბათიანი ეკლესიის მელნით, "მხედრულით" შესრულებულ წარწერებს. ერთ-ერთ წარწერაში შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსნის" სტრიქონებია მოცემული. წარწერებში გვხვდება ორი ხალხური ლექსი და პირადი ხასიათის ჩანაწერები.

ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი გამოირჩევა როგორც თავისი გეოლოგიურ-ბუნებრივი წარმომავლობით, ასევე სრულიად განსხვავებული, თვითმყოფადი ლანდშაფტით და კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების არნახული სიუხვით.

Vardzia historical-architectural museum-reserve occupies the westernmost part of Aspindza district (historical lower Javakheti) and is stretched along the 30 km-long beautiful section of the Kura river gorge, from Khertvisi fortress inclusive Oloda monastery, located at Georgian-Turkish State border. The gorge itself, with its unique landscape is the most important place of the country due to numerous and significant cultural heritage monuments grouped therein. These monuments located on the relatively small area cover the largest possible chronological and subject boundaries. For instance abandoned villages and cities, ancient settlements, fortresses, churches and monasteries, steles, epigraphy monuments, samples of monumental painting, irrigation and water supply systems, bathhouses, caravansaries, rock-cut monasteries and residential quarters, all can be encountered here.

The whole system of agricultural terraces is safely preserved all along the gorge that proves long history and rich traditions of gardening and horticulture in the area.

The museum-reserve territory abounds with archaeological sites as well: ancient settlements and burial grounds of the turn of II-I Millennium, Antique Era and the medieval times are being revealed here.

Steles and stone-crosses used for cult service purposes located outdoors, on open air are the noteworthy monuments of the museum-reserve. This tradition of erecting of such kind of things has been originated at the earliest steps of spread of Christianity that took place in IV c. (samples dated back to VI-IX cc are located at Phia, Zeda Tmogvi, Giorgitsminda). Presence of the late medieval stone-crosses of XVI c – so called khachkars in Dilika and Margistan is clear indication of existence of Armenian population within this area.

The great number of royal residences, monasteries and strategic fortresses grouped here is an additional prove of the highest historical and geographical importance of this area. During their long lifespan (X-XVIII cc) the castles of Khertvisi, Tmogvi and Odola have many times repulsed enemy attacks. Khertvisi and Tmogvi fortresses defending the most important strategic points of the area though are the most significant fortification structures.

Multitude of artificial caves scattered all over the area gain extraordinary peculiarity to its landscape. Numerous cut in rock monastery complexes presented in Vardzia-Olody section of the museum-reserve is an eloquent prove of close ties with the Asia Minor cultural centers that Georgia had been enjoying from ancient times. Cutting artificial caves has been widely accepted tradition throughout the whole medieval Christian Orient. The very first attempts of cutting the rock had been carried out as early as in pre-antique period, so that it is a rather long – rooted tradition in the area. Relation of the local tradition of artificial cave-cutting with the similar complexes of Cappadocia is the most interesting sphere of research. The cut in rock monastery complexes of Oloda and Vardzia reflect two essential chronological periods of monastery life- VIII-IX and XII-XIII cc respectively. Besides the monastery complexes of Vanis Kvabebi (Vani Caves), Jolda, Oloda, and Sadakudebulo, several residential caves were arranged in Gelsunda and Margastani coupled with underground shelters at the village of Lepisi. Separate rock-cut churches (Vertashi-Tavkvetila, Gaghma Chachkari St. George church, semi-grotto church of Gamogma Chachkari, St Marine church, etc), folk dwellings (Gaghma Chachkariorock-cut residential hall, Gelsunda caves) and several auxiliary buildings (Gaghma Chachkari, Phia, Margastani)were arranged there as well.

The town-monastery of Vardzia is absolutely unique sample of rock-cut architecture not only at national level, but worldwide as well. This is a complex with complicated and united planning and design, containing lots of premises arranged on thirteen floors provided with sewage and potable water supply systems. Dwelling quarters arranged in suites are united by doorways, lanes and stairs. Vardzia complex is distinguished for the vertical arrangement of its residential quarters. There are several rooms allocated for specific purposes. Those rooms are as follows: a pharmacy, Queen Tamar Hall, Feast Hall, refractory, stable ets.

Vardzia single nave church of Dormition of the Virgin located in the central part of the Monastery is the main built monument of the complex. The church interior is adorned with wall painting performed in the turn of XII-XIII cc that reveal close links to Christian countries of the Orient and the Byzantium Empire in particular. Paintings applied by so called "Dry Technology" besides the canonical religious scenes contains the portraits of Queen Tamar and his father - King Giorgi III.

Another important above ground facility of Vardzia monastery is the XIII c bell-tower with the only remains of its ground floor.

The Ananuri settlement is of the extraordinary importance due to its rock-cut church adorned with perfect wall painting.

The rock-cut town-monastery of Vardzia with its huge scale, perfection of engineering art and artistic and historical significance is an outstanding and incomparable sample of Georgian medieval art.

Except of rock-cut churches and chapels several temples with special artistic value are located on Khertvisi-Vardzia-Oloda territory. Most of them are domed constructions being erected in X-XIV cc. Two single-nave churches of X c. in the village of Phia, Akhchia and Mirashkhana churches of the same period, a two-nave church in Zeda (Upper) Vardzia, Tsunda church of the turn of XII-XIII cc, Tmogvi St. Marine domed church of XII-XIV cc are the most important of them.

All preserved religious buildings are outstanding samples of architectural and artistic solutions. Other churches that are relatively modest constructions are the representative samples of so called "Javakheti" school of architecture.

Some of the aforementioned architectural monuments located within the museum-reserve boundaries contain several exceptional samples of medieval monumental painting and epigraphic.

Besides Mother of God church of Vardzia Monastery that is adorned with the best of monumental painting churches adorned with wall painting are as follows: Phia St.Tevdore (Theodor) church, Zeda Vardzia, Tmogvi St. Marine and Ananuri churches. Chronology of those paintings is rather broad and they cover the period of X-XVI cc.

Both the built and rock cut monuments have construction and memorial inscriptions performed in IX-XVIII cc. All of them are "written" in Asomtavruli (capital) letters and are very important as they contain significant historical data. Inscriptions of Phia, Zeda (Upper) Vardzia, Mirashkhani, Tmogvi St. Marine churches are the most important ones. Another extremely important row of inscriptions written by ink in Mkhedruli letters can be seen in Vani Kvabebi (caves) St. Marine domed church of XV-XVI cc. One of the inscriptions contain several strophes from Shopa Rustaveli's "Vepkhistkaosani" ("The Night in Panther's Skin") coupled with several folk verses and records of personal character.

Vardzia Historical-Architectural Museum-reserve is very special place for its geological and natural origins and unique landscape where lots of different cultural heritage monuments are scattered all around.



ვარძია
XII-XVI სს.
Vardzia
XII-XVI cc



ვარძიაში ექვსასამდე სათავსოა გამოკვეთილი. ბევრ მათგანს სახელიც შეერქვა: “თამარის დარბაზი”, “სალხინო”, “სატრაპეზო”, “აფთიაქი”, “საჯინიბო” და სხვა.

Up to 600 rooms of different purposes are cut in rock in Vardzia. Some of them has got particular names, that are as follows: Queen Tamar’s Hall, the Festive Hall, Refractory, Pharmacy, Stable, etc.



“...ესე ვარძია ჰირველ დაენყო
სანატრელსა მამასა მისსა გიორგის,
გარნა ვერ სრულ ექმნა და დაეტევა,
რომელ ამან [თამარ] აღასრულა
და შეამკო ყოვლითურთ” - თამარის
ისტორიკოსი.

“Vardzia primarily was initiated by the
yearned for father of hers, Giorgi, al-
though he failed to accomplish it and had
to abandon the undertaking, while Queen
Tamar completed it and adorned it thor-
oughly”- Biographer of Queen Tamar.

ყოველ სართულს გადახურული დერეფანი
გასდევდა, სართულები ერთმანეთს
ჭერში გაჭრილი ხვრელებით და საიდუმლო
გვირაბებით უკავშირდებოდა.

The covered doorways run along each of the storey
while the tay were
connected to each other through the special man-
holes and secret tunnels.





ვარძია, ჩანახატი დიუბუა დე მონპერეს ალბომიდან, 1833 წ.
Vardzia, Sketch from Dubois de Monpereux's Album, 1833.



ვარძია, ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესია, XII ს.
Vardzia, Virgin's Assumption Church, XII c



ვარძია
ღმრთისმშობლის
მიძინების ეკლესია, XII ს.

Vardzia
Virgin's Assumption
Church, XII c

ჩრდილოეთ კედელზე ქტიტორთა (ტაძრის მამუნებელთა) პორტრეტებია წარმოდგენილი – გიორგი III და სულ ნორჩი, ჯერ დაუქორწინებელი თამარი. უსაყებურო მანდილს გაუთხოვარი ქალები ატარებდნენ. ვარძიის მოხატულობაც სწორედ თამარის ქორწინებით – 1186 წლამდე თარიღდება.

Frescoes of the church building donors are performed on the northern wall of the interior – of King George III and yet adolescent, even not engaged Tamar. She wears a headscarf free of decorative chin-strap necklace- a common custom for young unmarried ladies only. This fresco is the essential proof that Vardzia monastery wall painting had been completed before Tamar's marriage that took place in 1186.

სამხრეთი კედელი, ჯვარცმა ►
South wall, Crucifixion



▲ მაცხოვარი
Jesus

▼ ჭვრის ამაღლება
Ascension of the cross





ანანური
Ananuri



ანანური, გამოქვაბული ეკლესია, XIII-XV სს.
Ananauri, cave church, XIII-XV cc



ანანაური, გამოქვაბული ეკლესია, საკურთხეველი, ღმრთისმშობელი ყრმით XIII-XV სს.
Ananauri, cave church, altar apsc. The Virgin with the child XIII-XV cc



ანანაური, გამოქვაბული ეკლესია, სამხრეთი კედელი XIII-XV სს.
Ananauri, cave church, south wall, XIII-XV cc



ლაზარეს აღდგინება
The raising of Lazarus



ჯვარცმა და ჯოჯობეთის წარმოტყვევნა
Crucifixion and Anastasis



◀ ამაღლება
Ascension

ღმრთისმშობლის მიძინება ▶
Virgin's Assumption



IN NATIVITATE

IN NATIVITATE

XC
OIA

IN NATIVITATE



◀ ძველი სარო-ნამოსახლარი, XV-XVI სს.
Ancient Saro settlement, XV-XVI cc

ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე მრავალი ნამოსახლარია. აქ ვხვდებით კლდეში ნაკვეთ საცხოვრებელ თუ სამალავ კომპლექსებს.

თვალში საცემია ტერასებად მოწყობილი მიწის ნაკვეთების სიმრავლე. აქ საუკუნეების მანძილზე ბოსტნები და ხეხილის ბაღები ხარობდა.

Numerous settlement remains can be encountered on the territory of Vardzia Museum-Resort.

Some of them are cut-in -rock residential areas or hiding shelters.

The manmade terraces of the arable land are one of the noteworthy constructions in this area.

For centuries the region had been famous for its promoted and blooming horticulture and gardening.

ხერთვისი ▶
Khertvisi





„სად ერთვის მტკუარს ჯავახეთის მტკუარი, ამ ორ მდინარეს
შორის არს ხერთვისი, ...
და შენი არს აქა ციხე ფრიად მაგარი.“ – ვახუშტი
ბატონიშვილი, XVIII ს.

“Where the Javakheti Kura falls into the Kura River there
is Khertvisi, between those two rivers, ... and rather im-
pregnable a fortress stands therein” - Prince Vakhushti,
XVIII c.



ხერთვისის ციხეს მრავალსაუკუნოვანი, შეუპოვარი ბრძოლებით, ნგრევითა და შენებით აღსავსე ისტორია აქვს. ...და მაინც, იგი, ვით საიმედო გუშაგი, კვლავ ამაყად დაჰყურებს არე-მარეს.

The centuries-long history of the Khertvisi fortress counts numerous rounds of merciless battles, devastations and reconstructions. And even today it gorgeously dominates the surroundings as their still reliable guard.



ველსუნდა, საცხოვრებელი, VIII-IX სს.
Gelsunda, Residential construction, VIII-IX cc



გელსუნდა, საცხოვრებელი, VIII-IX სს.
Gelsunda, Residential construction, VIII-IX cc



◀ ფია, წმ. თევდორეს ეკლესია, 995 წ.
Phia, St. Tevdore church, 995 AD.

“სახელითა ღმრთისაგთა, მე, ჩქარმან და ძმათა ჩემთა დავდგით ესე ეკლესიად. ქორონიკონი იყო სიე” – ტრაპეზის ქვაზე ამოკვეთილი ეს წარწერა ეკლესიას 995 წლით ათარიღებს.

“In the name of God, I, Chquari and brothers of mine have erected this church. The coronikon was S I E” – this inscription cut on the stone alter of credence dates the church back by 995 AD.

თუმცა დრომ საღებავს ფერი უცვალა და ბათქაშიც ძლიერ დააზიანა, საკურთხეველში გამოსახული მაცხოვარი მაინც მძლავრი და შთამბეჭდავია. თუ მის ფეხს დააკვირდებით, დაინახავთ, რომ ხაშლთა (სანდლების) ნაცვლად წულა მოსავს – ეს კი ძალზე იშვიათი მოტივია ძველ ქართულ კედლის მხატვრობაში. ▶

Although the course of time had dimmed colors and weathered out wall plaster, the fresco of Christ the Savior in the sanctuary is still forceful and impressive. If pay attention to it, one detail very rare for Georgian wall painting becomes noticeable- it is Christ's footwear, ankle-high shoes with soft soles instead of traditional sandals.





◀ ფია, წმ. გიორგის ეკლესია, X ს.
Phia, St. George church, X c.

სარკმლის თავსართი ▶
Window termination



ბალავრის ქვა ▶
Architrave stone

წრეში ჩახატულ ტოლმკლავა ჯვარს მეცნიერები “ბოლნურს” უწოდებენ. ფიის წმ. გიორგის ეკლესიის სამხრეთი ვარის ბალავარზე ბოლნური ჯვარი მზის გამოსახულების შუაგულშია ამოკვეთილი და მასთან ერთად სხივოსნობს; სტილიზებული მცენარეები კი უკვდავების სიმბოლოა და სამოთხეს განასახიერებს.

Scholars refer to the equilateral cross inside the circle as to Bolnisi-type. That kind of cross in the centre of the Sun that shines together with the celestial body is cut on the load bearing stone over the southern entrance of Phia St. George church. The formalized floristic decoration is the symbol of immortality and embodies the heavens.





ჭოლთა, მონასტერი, VIII-IX სს.
Cholta, Monastery, VIII-IX cc



ორი დარბაზული ეკლესიის, სენაკების და სამეურნეო სათავსების გარდა, აღსანიშნავია საგანგებო ოთახი, რომელშიც კლდეში ნაკვეთი რამდენიმე საფეხურით უნდა ჩახვიდეთ. აქ ძველი ქვის სამარხებია შემონახული.

Comprised of two single-nave churches, hermit cells and several auxiliary premises, there is one room worth to be mentioned particularly. Several cut in the rock stairs should be walked down to get into the room, where old stone box burials are preserved.






წუნდა, დეტალი
Tsunda, detail



ლეონტი მროველის (XI ს.) მიხედვით, წუნდაში ეკლესიის მშენებლობა მირიან მეფის დროს (IV ს.) დაწყებულა. ძველი ეკლესიის ნაშთი ნაქალაქარის ტერიტორიაზე დღეს არ ჩანს. დარბაზული ტიპის ეკლესია ვი XII-XIII საუკუნეებით თარიღდება. იგი აზიდული და მოხდენილი სილუეტით შორიდანვე იპყრობს მნახველის ყურადღებას.

წუნდა, ეკლესია, XII-XIII სს.
Tsunda Church, XII-XIII cc



◀ „სახელითა ღმრთისაჲთა,
მე იჩქითმან გურგენის
ძემან აღვაშენე ეკლესიაჲ
ესე, მამული ჩვენი
სახელსა ზედა წმიდისა
ნათლისმცემლისსა
სალოცველად ჩემთვის და
მშობელთა ჩემთათჳს“

In the name of God, I,
Ichkit, son of Gurgen
have built this church,
our estate in the name of
the Holly Baptist, let my
soul and of my parents
be prayed for”



According to Leonti Mroveli (IX c.) the initial church in Tsunda had been built in times of King Mirian (IV c.). Currently no traces of that

old church could be seen on the territory of the settlement remains. The existing single-nave church is dated back by XII-XIII cc. With accurate proportions and elevated outlines this elegant monument attracts the viewers' sight from the distance.



თმოგვის ციხე
The Fortress of Tmogvi

თმოგვი, წმ. მარინეს ეკლესია, XIII-XIV სს. ►
Tmogvi, St. Marine church, XIII-XIV cc.

◀ 914 წელს, ქართლ-კახეთის მოხრეხის შემდეგ, არაბთა სარდალი აბულ-კასიმი "მოადგა ციხესა თმოგვსასა და ვითარ იხილა სიმტკიცე მისი და სიმაგრე, აიყარა მუნით და მოვიდა ყუელს, მოადგა გარე და უწყო ბრძოლად" – „მატიანე ქართლისაჲ“, XI ს.

თმოგვი VIII-IX საუკუნეებისათვის დასუსტებულ წუნდას ჩაენაცვლა და XVI საუკუნემდე სახელმწიფოს ძლიერი დასაყრდენი იყო.

In the year of 914, after devastation of Kartli and Kakheti commander of Arabs Abul-Quasim "came against the Tmogvi fortress but convinced in its invincibility and impregnability soon abandoned the siege and rushed to Khveli, encircled it and launched the hostilities" – Chronicles of Kartli-XI c. For the turn of VIII-IX cc Tmogvi had already substituted the gradually weakening Tsunda and remained as one of the important centers of Georgian Statehood till the beginning of XVI c.

წყლის მოსატანად თმოგვის ციხიდან მდინარეზე საიდუმლო გვირაბით ჩადიოდნენ. ჰამაროვანი გვირაბი თითქმის მთლიანად კლდეშია ნაკვეთი.

A secret arched tunnel almost entirely cut through the massive rock lead to the river bank and used to serve as the main aqueduct for supplying the fortress with potable water.





თმოგვი, წმ. მარინეს ეკლესია, XIII-XIV სს.
კარიბჭის თაღის ქვეშ საძვალეა მოწყობილი

Tmogvi, St. Marine church, XIII-XIV cc
An ossuary is arranged under the arched porch



ჩამოქცეული ეკლესიის საკურთხეველში ეს “ვედრება”
შემორჩა – მაცხოვრის მხარმარჯვნივ ღმრთისმშობელი,
მარცხნივ კი იოანე ნათლისმცემელი არიან გამოსახულნი.

Although the dome and roofing of the church are entirely
ruined a fresco of plea has still survived in its sanctuary with
the images of Mother of God right to Christ and of St. John
the Baptist to his left.

მტკიცე ხელით თლილი ქვით გამოყვანილი თაღები მაღალ
სამშენებლო ოსტატობას მონშობს. ▶

Tall arches built of hewn stones still bare footprints of the
constructor with strong will and are eloquent proofs of the
highly sophisticated building craftsmanship.





◀ ზედა თმოგვი, სამნავიანი ბაზილიკა, XI ს.
Upper Tmogvi, three-nave basilica, XI c

“ქრისტე, ადიდე ბაგრატ და მარიამ დედოფალი”

“ქრისტე, შეინყაღე სული ფარსმან ერისთავთ-ერისთავისაჲ იოვანჴს ძისაჲ ჭიმჭიმელისაჲ.”

ტაძარი მარიამ დედოფლის, უფლისწულ ბაგრატის (შემდგომში ბაგრატ IV) და ფარსმან ერისთავის დაკვეთით აგებულია XI ს. II მეოთხედში; ხუროთმოძღვარი ვი, ჩანს, ადგილობრივი – ჯავახი ოსტატი იყო.

“Christ grant glory to Bagrat and Queen Mariam”

“Christ be merciful to the soul of Eristavt-Eristavi Parsman, son of Johan Chimchimeli”

Ordered by Queen Mariam, Crown- Prince Bagrat (afterwards - King Bagrat IV) and Eristavt-Eristavi Parsman, the temple was built in the second quarter of XI c. Seemingly an architect was of the local, Janakheti origins.

ზედა თმოგვი, ქვაჯვარი ▶

ქვაჯვრების და სტელების აღმართვა უძველესი ქრისტიანული ტრადიცია იყო.

Upper Tmogvi – a Stone-Cross

Erection of the stone-crosses and steles has been one of the most ancient Christian traditions.





**მარგასტანი, სამონასტრო კომპლექსი და
საცხოვრებელი, VIII-IX სს.**

ამ ერთიარუსიანი კომპლექსის ცენტრში კლდის მოზრდილი ეკლესიაა შემორჩენილი. მის აქეთ-იქით დამხმარე სათავსოები და ბერთა სენაკებია. მონასტერს ზღუდით შემოვლებული ეზოც ჰქონია. გამოქვაბულების ძირში ოდესღაც დიდი და მძლავრი ნამოსახლარის ფრაგმენტები შემონახული.

**Margistani Monastery Complex and the Resi-
dential Area, VIII-IX cc**

A rather lengthy, cut in the rock survived church stands in the centre of this single-storey complex. Several auxiliary rooms and hermit cells are arranged at either side of the church. The monastery yard once was encircled with the defensive wall. Several remains of a large and strong settlement are preserved beneath the cave.



ვანის ქვაბები, VIII-XVI სს.
Vanis Kvabebi, VIII-XVI cc



ვანის ქვაბები, VIII-XVI სს.
Vanis Kvabebi, VIII-XVI cc



ვანის ქვაბები, VIII-XVI სს.
Vanis Kvabebi, VIII-XVI cc



◀ ვანის ქვაბები

წმ. გიორგის ეკლესია, XI ს.

სანახევროდ კლდეში შესული მომცრო ტაძარი დიდი, კარგად თლილი ქვების პერანგითაა შემოსილი, მასიური ლავგარდანი ევლება და ლორფინითაა გადახურული. ამის გამო ტოვებს მონუმენტურისა და მძლავრის შთაბეჭდილებას.

Vani Kvabebi (Caves)

St. George Church, XI c

A small church with almost its half running into the cave has got the facing layer of neatly hewn stones. A massive cornice is being arranged all around its perimeter. The construction is covered with stone-slab roof that is decisive in creation of the impression of the construction's monumentality and solidity.

ვანის ქვაბები ▶
გუმბათიანი ეკლესია, XV ს.

Vanis Kvabebi
the domed church, XV c





ვანის ქვაბები
გუმბათიანი ეკლესია, XV ს.

ამ კლდის ნაოჭში ჩიტის
ბუდესავით საკვირველად
ნაშენი ტაძრის კედლები XV-
XVI სს. მელნით შესრულებულ
ძრავალ ნახატსა და მხედრულ
წარწერას ინახავს; მათ შორის
“ვეფხისტყაოსნის” სტროფებს.

Vanis Kvabebi
the domed church, XV c

This domed church built on the
fold of the rock as if it were a
birds' nest perhaps is the most
astonishing of all constructions.
Its interior keeps lots of XV-XVI
cc ink paintings and inscriptions
in modern lay Georgian alphabet
called Mkhedruli, including some
verses from the poem “The Night
in the Panther’s Skin.”







▲
გალმა ჭაჭკარი, დარბაზები ▶
Gaghma Chachkari, the halls



◀ გალმა ჭაჭკარი

XI-XII საუკუნეებში გამართული, "ხელუხლებელი", დღესაც ცოცხალი სოფელი

Gaghma Chachkari

The still alive and safe village founded some time in XI - XII cc

ზედა ვარძია, XI ს.
Upper Vardzia, XI c



“დედაო ღმრთისაო, მეოხ ყყავ ერისთავთ ერისთავსა ლიპარიტს და შვილთა მისთა დღესა მას საშინელსა, რომელმან გულისმოდგინებით აღგიშენა წმიდად ესე ეკლესიად ამენ” (წარწერა კარის თავზე)

“Mother of God intercede for Liparit Eristavt-Eristavi and his children in the horrible Doomsday, who with devotion and diligence have built for you this holly church, Amen” (inscription over the entrance opening)



ორფერდა სახურავი ორ ზეატყორცნილ ნავსა და თაღნარიან სამხრეთ სტოას ფარავს. დასავლეთით მინაშენია, რომელიც ვიწრო და დაბალი დერეფნით სამალავში გადის.

The two –winged roof covers two naves with elevated proportions and arcaded southern stoa. There is an attachment at the western wall that through the narrow and low doorway runs into the hiding shelter.







Sadakhudebulo,
a monastery
VIII-IX cc

Hermit cells with cut in rock cavities with the outlines of human body are arranged on the first level of the depression funnel. A small two-tier church with the sanctuary arranged on the upper tier has been cut in rock. During the public services all the congregation stood on the first tier and heard the service through the rectangular opening cut into the ceiling towards the sanctuary.

სადაყდებულო, მონასტერი, VIII-IX სს.

ქვაბულების პირველ სართულზე განთავსებულ ბერთა სენაკებში ქვის ჩასასვენებლებია გაკეთებული, რომელთაც შიგნიდან ადამიანის სხეულის მოხაზულობა აქვთ. მეორე სართულზე მცირე ზომის ორიარუსიანი ეკლესიაა გამოკვეთილი. საკურთხეველი მეორე სართულზეა განთავსებული. წირვა-ლოცვის დროს მრევლი პირველ სართულზე იდგა და ჭერში დატანებული, საკურთხეველში გამავალი, სწორკუთხა ღიობიდან ისმენდა ლოცვას.



ახჩია, ეკლესია, X ს.
Akhchia, a church, X c



ვერტაში, თავკვეთილა, X ს.
Vertashi, Tavkvetila, X c

ეკლესიაში მოსახვედრად ციცაბო კიბე უნდა ჩაიარო.

ტრიკონქის ტიპის (სამაფსიდიან) დიდ ეკლესიას დასავლეთით ხის პატრონიკეც ჰქონია.

ჩანს, ვერტაშის ნამონასტრალი ოდესღაც მნიშვნელოვანი რელიგიური ცენტრი იყო.

Steep stairs are to be walked down to enter the church.

A tri-conch shaped (with three paces) large church had wooden second floor gallery arranged in the western section. It seems Vertashi monastery had once been an important religious centre in Georgia.







ლევისას გამოქვაბულები, XVI-XVIII სს.
Lepisi caves, XVI-XVIII cc

ლევისას სამალავში სათავსები გვირაბებითა და მშრალი წყობის, თლილი ქვით ნაგები ფართო დერეფნებით უკავშირდება ერთმანეთს.

Lepisi hiding shelters connected each other by the net of tunnels and wide doorways faced with neatly hewn dry masonry.

ეს ვეება, საკუთარ ღერძზე მბრუნავი ვარი შიშიანობის დროს ►
შემოხიზნულ მოსახლეობას საიმედოდ იცავდა.

This huge door turning on its axis was reliable shield for the locals hiding underground in unfavorable times.





ოლოდა, მონასტერი, VIII-IX სს.
Oloda, Monastery, VIII-IX cc





ოლოდა, მონასტერი, VIII-IX სს.
Oloda, Monastery, VIII-IX cc



NATIONAL AGENCY FOR CULTURAL HERITAGE
PRESERVATION OF GEORGIA



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის
დაცვის ეროვნული სააგენტო

[www. heritagesites.ge](http://www.heritagesites.ge)